

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის მეთოდოლოგიისა და დისტანციური ზედამხედველობის განყოფილების ანგარიშგებების ანალიტიკოსის პოზიციაზე.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

მოვალეობები:

- საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის რისკის ზედამხედველობის ანგარიშგებების“, ასევე სხვა შესაბამისი ინფორმაციის მიღება, დამუშავება, შეფასება და ანალიზი;
- კონკრეტული სუბიექტის დისტანციური ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნის მომზადება;
- სექტორისა და ქვესექტორის რისკის, ასევე რისკის მატარებელი კონკრეტული კომპონენტ(ებ)ის განსაზღვრა და დასკვნის მომზადება;
- იდენტიფიცირებული რისკების მინიმიზაციის, ასევე ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით წინადადებების მომზადება;
- სავალდებულო ან/და სარეკომენდაციო ღონისძიებების დაწესების შემთხვევაში მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;
- საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისათვის სახელმძღვანელო, მეთოდოლოგიური ან/და სარეკომენდაციო დოკუმენტების შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება.

სავალდებულო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან ფინანსების სფეროში;
- უპირატესობა მიენიჭება საფინანსო სექტორში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის და სამართლებრივი შესაბამისობის კუთხით მუშაობის გამოცდილებას;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა (საუბარი და წერა);
- საოფისე პროგრამები (Word, Excel, PowerPoint);
- შემდეგი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი წესები და ინსტრუქციები; „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებები და ნორმატიული აქტები;

უნარები

- ეფექტური წერითი კომუნიკაცია
- ანალიტიკური აზროვნება
- კრიტიკული აზროვნება
- შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის უნარი
- ხარისხზე ორიენტაცია
- დისციპლინირებულობა და აკურატულობა

თანამდებობრივი სარგო: 1800 -2200 ლარი

კონკურსის ფორმა - კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

- 1) პირველი ეტაპი - ტესტირება, რომლის ფარგლებშიც შემოწმდება კონკურსანტის ცოდნა ზემოთ მითითებული სამართლებრივი აქტების ფარგლებში;
- 2) მეორე ეტაპი - ინტერვიუ.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, 2018 წლის 24 იანვრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge. სათაურის ველში აუცილებლად მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება - ანგარიშგების ანალიტიკოსი.